

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის
დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდი – 2011 წელი

განსაზღვრული პრიორიტეტები:

-სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

-ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

-საარქივო საქმიანობის წარმოება

-საზოგადოებასთან ურთიერთობა

-ადამიანური რესურსების მართვა

-საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება:

სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

პრიორიტეტის მიზანი:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალშემოქმედებითი საქმიანობისთვის სამართლებრივი ხელშეწყობის უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა, მიზანი:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტების გადასინჯვა და შესაბამისი პროექტების (წინადადებების, შენიშვნების) მომზადება და წარდგენა შესაბამის ორგანოებში.

2. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტის შემუშავება.

3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კონსულტაციების გაწევისა და მათთვის მოქმედი კანონმდებლობის გაცნობის მიზნით გასვლითი შეხვედრების მოწყობა. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა პროექტი “სამართლებრივი დახმარების გაწევა კომპაქტურად განსახლებულ ობიექტებში.”

4. აფხაზეთის ა/რ დაწესებულებების დებულებების შესწავლა საარქივო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით და არსებული ხარვეზების გამოსწორების თაობაზე შესაბამისი პროექტების მომზადება.

5. „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შემუშავება.

6. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტის შემუშავება. აღნიშნული პროექტის განხილვის მიზნით აფხაზეთის დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

7. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტის შემუშავება;

8. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტის შემუშავება;

9. აფხაზეთის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი დახვეწის მიზნით აფხაზეთის შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა, კერძოდ:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან – „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის კანონის პროექტზე;

– „აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აფხაზეთის კანონის პროექტზე.

– „აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტზე;

• აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ახალ პროექტზე;

• აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობასთან

– „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტზე და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებზე.

10. საქართველოს მთავრობის №403 განკარგულების „დროებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა მიმართ 2009-2012 წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის საფუძველზე დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.

11. დევნილთა ინტერესებიდან გამომდინარე, აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე შემდეგი სახის ინფორმაციის განთავსება: დევნილთათვის დაწესებული მოთხოვნები და შეღავათები, მოთხოვნები საპენსიო კანონმდებლობის შესახებ, პირადობისა და პასპორტის ასაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, მოქალაქეობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები და დევნილთათვის ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

12. აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნის საფუძველზე მათთვის საკანონმდებლო სიახლეების გაცნობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შედეგები:

სამართალშემოქმედების ფარგლებში პროექტების შემუშავების განხორციელებისას კონკრეტული დოკუმენტაციის შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება.

პრიორიტეტის დასახელება:

ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

პრიორიტეტის მიზანი:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მომზადებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი სრულყოფის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, რომელიც მოიცავს როგორც დოკუმენტების შედგენის იურიდიული ტექნიკის უზრუნველყოფას, ასევე სამართლებრივი ხასიათის დასკვნების მომზადებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.
2. საქართველოს კანონმდებლობასთან და სხვა უპირატესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობის შესწავლა და ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე კონკრეტული წინადადებების მომზადება-წარდგენა (შესაბამის ორგანოში).
3. დეპარტამენტში საექსპერტიზოდ შემოსული პროექტების სრულყოფისა და დახვეწის მიზნით აფხაზეთის აღმასრულებელ დაწესებულებათა იურიდიული სამსახურის წარმომადგენელთათვის სამართლებრივ საკითხებზე სარეკომენდაციოდ წინადადებების შემუშავება, პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება.
4. აფხაზეთის მთავრობის მმართველობის სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გადარჩევა-ანალიზის კუთხით შესწავლა (არსებითად მოძველებული ნორმატიული აქტების გამოვლენის მიზნით) და აფხაზეთის მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა.

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების ელექტრონული ვერსიების მოძიება-აღდგენა კოდექს-პროგრამის სრულყოფის მიზნით.

6. გამოსაქვეყნებელი მასალების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის“ წარდგენამდე შემოწმება, გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოჩენა-გამოსწორება.

მიღწეული შედეგები:

განხორციელებული სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად დეპარტამენტის მიერ გაცემულ იქნა სამართლებრივი ხასიათის 29 დადებითი დასკვნა, გამოვლენილ იქნა კონკრეტული იურიდიული ხასიათის ხარვეზები, შემუშავებულ იქნა შესაბამისი წინადადებები, რომლებიც წარედგინა სათანადო დაწესებულებებს არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებ-გვერდზე უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება.

-პრიორიტეტის დასახელება:

საარქივო საქმიანობის წარმოება

-პრიორიტეტის მიზანი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის უზრუნველყოფა და განვითარება

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა, მიზანი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის მართვას, საარქივო საქმიანობის სრულყოფას და საარქივო საქმის განვითარებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის არქივის განყოფილება. ძირითადი აქცენტი აღნიშნულ საქმიანობაში კეთდება აფხაზეთის საარქივო ფონდის შევსებაზე, საარქივო დოკუმენტების აღწერა-სისტემატიზირებაზე, შესაბამისი ზედამხედველობის გაწევაზე აფხაზეთის სტრუქტურების მიმართ. საარქივო საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფის მიზნით დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ტარდება სარეკომენდაციო-გაცნობითი ხასიათის სემინარები აფხაზეთის დაწესებულებების სპეციალისტებისათვის.

ამ სფეროში მთავარი პრიორიტეტია – აფხაზეთის საარქივო საქმიანობის განვითარება სამინისტროების, უწყებების და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციების, მეთოდური უზრუნველყოფის და საარქივო საქმიანობის

კოორდინაციის გზით, ასევე საარქივო საქმიანობის მართვის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით.

დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ სახელმწიფო დაცვაზე მიღებულ იქნა:

ა.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს;

ა.ბ) სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“ (ნაწილი ფონდისა შემოტანილ იყო 2007 წელს);

ა.გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამმართველოს;

ა.დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის დაუმუშავებული დოკუმენტური ფონდები, რომლებიც განყოფილების საექსპერტო კომისიის მიერ მოყვანილ იქნენ სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში.

ბ) დამუშავდა 1993-2011 წლების 754 (შვიდასორმოცდათოთხმეტი) საქმე, აქედან 1993-2011 წლების 452 (ოთხას ორმოცდათორმეტი) მუდმივად და 302 (სამას ორი) ხანგრძლივად შესანახი საქმე.

გ) 2011 წლის მდგომარეობით განყოფილების მიერ მოწესრიგდა და დაცული იქნა 41 (ორმოცდაერთი) დაწესებულების დოკუმენტური ფონდი.

დ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენების დარგში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილების მიერ 2011 წელს გაიცა 58 (ორმოცდათვრამეტი) სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ცნობა, აქედან 35 (ოცდათხუთმეტი) უარყოფითი პასუხით, სამოქალაქო აქტების გრეგისტრაციის განყოფილების ფონდიდან გაცემულია 70 (სამოცდაათი) სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ცნობა, აქედან 43 (ორმოცდასამი) დადებითი, 27 (ოცდაშვიდი) უარყოფითი პასუხით.

ე) არაგეგმიური შემოწმება ჩატარდა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში. შემოწმების დროს გაწეული იქნა მეთოდური დახმარება საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის, მოვლა-პატრონობის, საქმისწარმოებისა და დაწესებულების საექსპერტო კომისიის მუშაობის ორგანიზაციაში და ასევე ჩატარებულ იქნა კონსულტაცია „დაწესებულებათა

არქივების მუშაობის წესებისა“ და ტიპობრივი დოკუმენტების ნუსხის პრაქტიკაში დასანერგად.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობით სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოსა და არქივის განყოფილების ერთობლივი ღონისძიება თემაზე – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების წარმართვა. პრაქტიკული და სამართლებრივი პრობლემატური ასპექტები“.

მიღწეული შედეგები:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში საარქივო საქმიანობის ორგანიზების ხარისხის ამაღლება.

-პრიორიტეტის დასახელება:

- საზოგადოებასთან ურთიერთობა

პრიორიტეტის მიზანი:

აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის საქმიანობის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებთან ურთიერთობას დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. აღნიშნული საქმიანობა წარიმართება ორი ძირითადი მიმართულებით:

- ა) აქტიური კომუნიკაცია სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებთან;
- ბ) კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებასთან.

მიღწეული შედეგები:

დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა) მიმდინარე წლის 2 მაისს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ჩატარდა ღონისძიება გამოფენა-კონფერენციის ფორმატში „აფხაზეთის სულიერი მემკვიდრეობა - ქართული სალოცავები“;

ბ) გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფოტო-მასალებით დასურათებული ორწლიანი (2011-2012წწ.) სამაგიდო ცნობარ-კალენდარი სათაურით „დავიცვათ აფხაზეთის სულიერი მემკვიდრეობა“;

გ) ჩატარდა გამოფენა-აქცია „ძალადობისა და ოკუპაციის წინააღმდეგ“, რომლის ფოტომასალები აგრეთვე იქნა გამოყენებული 2011 წლის 16 მარტს საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალთან გამართულ ღონისძიებაზე;

დ) სსიპ - სოხუმის უნივერსიტეტში მოეწყო ღონისძიება, სადაც დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საქართველოს არქივში დაცული აფხაზეთის შესახებ მასალების პროპაგანდა-პოპულარიზაცია;

ე) აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა თბილისში მდებარე ვაშლიჯვრისა და თბილისის ზღვის სკოლებში ჩატარდა ლექციები თემაზე „ნარკომანია - დანაშაული და ავადმყოფობა, მისი პრევენციის გზები“.

პრიორიტეტის დასახელება:

ადამიანური რესურსების მართვა

პრიორიტეტის მიზანი:

ადამიანური რესურსების მართვის ხარისხის გაზრდა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საკადრო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება დეპარტამენტის ფუნქციების ქმედითი და შედეგიანი განხორციელება. აღნიშნულ საკითხში დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია საჯარო მოსამსახურეების პროფესიული ცოდნის შენარჩუნება მაღალ სამსახურებრივ დონეზე, რაც მიღწევადაა სისტემატურად დეპარტამენტის თანამშრომლების სწავლებისა და კვალიფიკაციის

ამაღლებს მეშვეობით. აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მხრივ და დეპარტამენტში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანია სტაჟირების (პრაქტიკის) გავლის პროცესის აქტიური და ეფექტიანი გამოყენება.

მიღწეული შედეგები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატის კადრების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ა) შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი;

ბ) უზრუნველყოფილ იქნა სტაჟირების გავლის წესის შესაბამისად, სტაჟორთათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სტაჟირების ორგანიზება;

გ) სამართალშემოქმედების სამმართველოსთან ერთად მომზადდა სტაჟირების კურსის გეგმა და სტაჟირების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნიმუში;

დ) დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ცოდნის გაღრმავებისა და სიახლეების გაცნობის მიზნით მოეწყო ტრენინგ-სემინარები;

ე) დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ პროექტში „ავიმაღლოთ კვალიფიკაცია“;

ვ) დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილების ორგანიზებით ტარდება ინგლისური ენის გაკვეთილები.

პრიორიტეტის დასახელება:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ხელშეწყობა

პრიორიტეტის მიზანი:

დევნილი მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით სისტემატურად ახორციელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტებისა და დევნილთა პრობლემატურ საკითხებზე სიახლეების განთავსებას დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №885 განკარგულების საფუძველზე ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველო სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამთავრობათაშორისო ჯგუფი. სამთავრობათაშორისო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას ატარებდა დეპარტამენტი. სამოქმედო გეგმა აყალიბებდა ნეიტრალური სტატუსის მქონე საკოორდინაციო მექანიზმს, რათა გამარტივებულიყო კომუნიკაცია საქართველოს მთავრობას, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაკონტროლებელ ძალაუფლებასა და ამ რეგიონებში მოქმედ ნებაყოფლობით გაერთიანებებს შორის.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის/ბინადრობის მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 11 ოქტომბრის №133 ბრძანების, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2011 წლის 24 ოქტომბრის №11 დადგენილების საფუძველზე დეპარტამენტში შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურების კომისია.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურების მომართვის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომისიამ უზრუნველყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების ფოტოიდენტურობის დადასტურება.